სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭა აგროსამრეწველო კომპლექსის 77 მშრომელს, მინდვრებისა და ფერმების განთქმულ ოსტატებს, რომლებიც წარმატებით მუშაობენ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის. მათ შორის არიან: როსტოვის ოლქის წარმომადგენლის ივანე გიორგის ძე რუბლეკოვის რგოლი, რომელმაც, მუშაობს რა ინტენსიური ტექნოლოგიით, ჰექტარზე 55,7 ცენტნერი მარცვლეული მოიწია, მაშინ როცა რაიონში საშუალო მაჩვენებელი 19,7 ცენტნერს შეადგენს; უკრაინის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა მეჯარხლემ ლეონიდ ნიკიფორეს ძე ტატჩენკმა მიაღწია ჰექტარზე 502,6 ცენტნერ ჭარხლის მოსავლიანობას

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 290 მოწინავეს მიენიჭა 1986 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა სატიტო წოდება. მათ შორის არიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ასი ავტონომიური რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გ. ბაკურია, ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ნ. მეშველიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გ. გველესიანი, სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტი მ. ბუტრომი (ბოლივია) და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ბ. ბუხეინი (სირია).

მეცნიერების დაჩქარების ნაბიჯები

ტექნოლოგიური ოპერაციები, რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი მოგვცა.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა ციმბირელ მეცნიერთა კოლექტიური შრომაც — ექვსტომიანი მონოგრაფია „ჰიდროგეოლოგიის საფუძვლები“. ეს არის მსოფლიოში ერთადერთი გამოცემა, რომელშიც ჩამოყალიბებულია არა მარტო მიწისქვეშა წყლების გამოყენებისა და დაცვის საკითხები, არამედ წყლის რესურსების გაჯუჯყიანების წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციებიც.

აქტიური მეტეოროლოგიური პროცესების მართვისათვის არის გათვალისწინებული რადიოსალოკაციო აპარატურა, რომელიც შეიმუშავა ა. ი. ვოეიკოვის სახელობის მთავარმა გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ.

სახელმწიფო პრემია მიენიჭათ მეცნიერებს, რომლებმაც შექმნეს პლანეტა ვენერას რადიოსალოკაციო კარტოგრაფირების საბორტო კოსმოსური კომპლექსი, რომელიც წარმატებით მუშაობდა „ვენერა-15“ და „ვენერა“-16“ ავტომატურ სადგურებში.

ნამუშევრებს შორის, რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებებს წარმოადგენენ, უნდა გამოვყოთ აკადემიკოს მ. პ. კიმის მონოგრაფია რეალური სოციალიზმის თეორიისა და ისტორიის პრობლემებზე.

პრემიით აღინიშნა ოთხტომიანი „დიდი ჩინურ-რუსული ლექსიკონი“.

პირველად საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებაში პროფესორმა ა. თ. ლოსევმა შეასრულა ანტიკური ესთეტიკის მრავალსაფეხურიანი ისტორიის ყოველმხრივი მარქსისტული ანალიზი.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გახდნენ მედიცინის დარგის რამდენიმე ნაშრომის ავტორები. მათ შორის არიან მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს ადამიანის უმაღლესი ნერვული მოქმედების ნეიროპათოლოგიური სინდრომებისა და დარღვევების პრინციპულად ახალი მოდელები.

დიდი შეფასება მიეცა აგრეთვე ახალშობილი და ჩვილი ბავშვების ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის კლინიკურ პრაქტიკაში დანერგილი მეთოდების შემუშავებას.

დაჯილდოებულთა სიაშია გულისა და სისხლძარღვთა დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის მედიკოსთა სხვა მნიშვნელოვანი ნამუშევარი. მისი თემაა ტაქიარითმიის — გულის რიტმის რთულ დარღვევათა დიაგნოსტიკისა და ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავება და კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვა.

პრემია დაიმსახურეს მეცნიერებმა, რომლებმაც შეიმუშავეს და სამკურნალო პრაქტიკაში დანერგეს ონკოლოგიურ ავადმყოფთა აღდგენითი მკურნალობის მეთოდები.

ინჟინერთა და მეთოდიკოსთა შემოქმედებითმა კოლექტივმა შექმნა და სამედიცინო პრაქტიკაში დანერგა დიაგნოსტიკური მიკროპროცესორული კომპლექსი „ლენტა-მტ“. მისი დახმარებით შეგვიძლია ვაწარმოოთ რეალური ცხოვრების პირობებში ელექტროკარდიოგრამების უწყვეტი ხანგრძლივი რეგისტრაცია. ასეთი კომპლექსების სერიულმა წარმოებამ შესაძლებელი გახადა ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში დანერგილიყო გულისა და სისხლძარღვთა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის ეფექტური მეთოდი, თავიდან აგვეცილებინა საშიში გართულებანი.

ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში აღინიშნა მკვლევართა და ინჟინერთა დიდი კოლექტივების ნაკლებ ... ...

ეროვნული ინტერესი
ფაქტები • მოვლენები

ოქტომბრის კურსი

მოხსენებას „ოქტომბრის კურსით, რევოლუციური შემოქმედების სულისკვეთებით“, რომელითაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი დაწვრილებით აშუქებენ და ფართოდ განმარტავენ საზღვარგარეთ. მრავალი ქვეყნის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ გამომხმაურებებში აღნიშნავენ: აზროვნებისა და მოქმედების ლენინური წესი, ბოლშევიკური გამბედაობა და შეუპოვრობა მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში — ეი რა შეადგენს დროთა ცოცხალ კავშირს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დღევანდელ მუშაობას აერთიანებს ოქტომბრის რევოლუციონერთა სტრატეგიასთან და ტაქტიკასთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა: „დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მარტო საბჭოთა კავშირის ხალხების ბედი კი არა, მსოფლიო ისტორიის მთელი მსვლელობაც შეცვალა, — წერს „ნოიეს დოიჩლანდი“, მან კაცობრიობას დაუსახა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების გზა, დედამიწაზე ააფრიალა შშვიდობისა და საერთაშორისო თანაშრომლობის დროშა“.

ვიეტნამი: გაზეთ „ნიან ზანი“ აღნიშნავს: ოქტომბრის საქმე, ლენინის საქმე ახლა ცოცხლობს და იმარჯვებს სოციალიზმის მომზადების მსოფლიო-ისტორიული მიღწევების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებით. იგი მილიონობით ახალ რევოლუციურ მებრძოლებს ასხამს ფრთას“.

ბულგარეთი: „მოხსენება, რომლითაც კრემლის ყრილობათა სასახლეში გამოვიდა ამხანაგი ი. კ. ლიგაჩოვი, გვისურათხატებს ამჟამად სსრ კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარე უზარმაზარ ცვლილებებს, — ხაზს უსვამს „რაბოტნიჩესკი დელო“.—მათი ანალიზი ცხადად ადასტურებს: ლენინურ პარტიას არ დაუთმია კომუნიზმის დიადი გზის პირველმკვალავის როლი“.

უნგრეთი: „ისევე როგორც რევოლუციონერთა ლენინურ თაობას, საბჭოთა კომუნისტებს ესმით, რომ საზოგადოებრივი პროგრესის ახალი მწვერვალების მიღწევა ავტომატურად შეუძლებელია, — აღნიშნა ბუდაპეშტის რადიოს მიმომხილველმა. — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აპრილის პლენუმის, XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები სხვა არა არის რა, თუ არა ენერგიულად მოქმედების მოთხოვნა, რათა რაც შეიძლება სრულად იქნეს გამოყენებული ადამიანების საკეთილდღეოდ სოციალიზმის შესაძლებლობები და წარმატებები“.

ჩეხოსლოვაკია. გარდაქმნის პროცესს, რომელიც ახლა საბჭოთა კავშირში ჩაღდება, რევოლუციური ხასიათი აქვს თვისი გაჯანსაღებითაც და შინაარსითაც, აღნიშნავს „რუდე პრავო“. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ შეუდგა სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის განახლებას, მზარდი მწარმოებელი ძალებისადმი მისი სტამბიერი შესაბამისობის უზრუნველყოფას.

კოლონეთი: აშკარაა დაჩქარების შედეგები, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა საბჭოთა ეკონომიკას, წერს პოლონეთის „ტრიბუნა ლუდუ“. მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ათი თვის შედეგები ცხადყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების გაზრდილ დინამიზმს, მიღწეულია 80-იან წლებში უდიდესი ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი. არსებითად გაუმჯობესდა მთელი რიგი დარგების მუშაობა. გეგმით დასახულ დონეს გადაჭარბა შრომის ნაყოფიერებამ, დასახულზე მეტად შემცირდა პროდუქციის ერთეულზე გაწეული ხარჯები.

კუბა: საბჭოთა კავშირს მიაჩნია: ახალი მიდგომა საგარეო პოლიტიკის პრობლემებისადმი განპირობებულია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ უმიშროების უზრუნველყოფა უმთავრესად პოლიტიკური და არა სამხედრო ამოცანა გახდა, აღნიშნა კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული საზეიმო კრებისადმი მიძღვნილ რეპორტაჟში კუბის ტელევიზიის კომენტატორმა. საბჭოთა კავშირს არ სურს თავისთვის მეტი უშიშროება სხვების ხარჯზე, მაგრამ იგი არც ნაკლებ უშიშროებას დათანხმდება ოდესმე. სანამ არსებობს ოქტომბრის მონაპოვრების ხელყოფის საფრთხე, საყოველთაო მშვიდობის დაღლეგვის საშიშროება, სსრ კავშირი კვლავაც განამტკიცებს თავის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს.

ამერიკის შეერთებული შტატები: საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს გამალებული შეიარაღების ალაგვეს, ახლანდელი დაძაბული საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოს აღმასკომის ვიცე-პრეზიდენტმა **ბ. ბაიერსნმა.** როგორც სამართლიანად აღინიშნა მოსკოვში გამართულ საზეიმო სხდომაზე, საბჭოთა კავშირს უბრალოდ მასობრივი მოსპობის იარაღის განადგურების, ჩვეულებრივი შეიარაღების რადიკალური შემცირების, საერთაშორისო დაძაბულობის კერების ლიკვიდაციის, სახელმწიფოთა ურთიერთობის ბევრი საკონფლიქტო და სადავო საკითხის გადაწყვეტის რეალისტური გეგმები არ წამოუყენებია. მან მიაღწია იმას, რომ პრაქტიკულად ყველა მისი ინიციატივა სახელმწიფო მოღვაწეთა მოლაპარაკების ან დიალოგის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში მსჯელობის საგანი გახდა. ყოველგვარი ბირთვული აფეთქებების მორატორიუმი, მომდევნო ასწლეულის დამდეგისათვის ბირთვული იარაღისაგან მსოფლიოს განთავისუფლების კონკრეტული გეგმა — სსრ კავშირის ამ და სხვა სამშვიდობო ინიციატივებს მოწონებით შეხვდნენ მთელ პლანეტაზე. ისევ დაგვრჩენია, სინანულით გამოვთქვათ, რომ დასავლეთის ქვეყნების, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები, ყოველნაირად ამრკოლებენ ამ ინიციატივების განხორციელებას.

◆ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

სროლა და შეტაკებები

პარარე. წუხელ ღამით სოუეტოში — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უდიდეს აფრიკელთა გეტოში არ შეწყვეტილა სროლა და გაფრთხილებული შეტაკებები პოლიციასა და აპარტეიდის მოწინააღმდეგეთა შორის. პრეტორიის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ ეფიარებინათ, რომ ოჰანესბურგის ამ გარეუბანში გაგზავნა პოლიციის დამატებითი ქვეგანაყოფები. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საინფორმაციო ბიუროომ დაადასტურა, რომ ამ კვირაში „წესრიგის დამცველთა“ წინააღმდეგ აფრიკელებმა პირველად გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი.

ოჰანესბურგის „სანდი სტარის“ მონაცემებით, გასულ ოთხშაბათს, როცა სოუეტოში კვლავ იფეთქა ანტიარასისტულმა მღელვარებამ, იქ სულ ცოტა 15 აფრიკელი მოკლეს. მანიფესტანტები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ აპარტეიდისა და ცხოვრების აუტანელი პირობების წინააღმდეგ, ქვებსა და ცეცხლგამჩენნივთიერებიან ბოთლებს უშენენ მარიონეტული ხელისუფლების ორგანოების შენობებსა და პოლიციელთა პატრულებს. სოუეტოს გარეუბნებში ისმის სროლა. დურბანის აფრიკელთა გარეუბანში — ჩესტერვილში მოკლულია კიდევ ერთი აფრიკელი.

● საფრანგეთი

პროვოკაციული ვიზიტის წინააღმდეგ

პარიზი. საფრანგეთში სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის რეჟიმის მეთაურის პიტერ ბოტას მომავალი ვიზიტი ქვეყნის საზოგადოებრიობის აზრად აგდებია, ნათქვამია ასი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, მსახიობის, კულტურის მოღვაწის განცხადებაში, რომელიც ეს ამ მოქმედებენ.

ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ამ ვიზიტის წინააღმდეგ, რომელსაც აშკარად პროვოკაციული ხასიათი აქვს, აღნიშნულია დოკუმენტში. პროგრესული საფრანგეთი ოფიციალური პარიზისაგან მოითხოვს ყოველგვარი ურთიერთობის დაუყოვნებლივ გაწყვეტას პრეტორიასთან, მკაცრი სანქციების მიღებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ. რასხანტებმა უნდა გაათავისუფლონ აგრეთვე ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც აპარტეიდის სახელმწიფოს დილეგებში იტანჯებიან, ხაზგასმით არის აღნიშნული განცხადებაში.

ეროვნული ოქტომბრის კურსი

ფრანგეთი: „ოქტომბრის ეროვნული ინტერესი“ — ეს ეს ეს ... ეს ... ეს ...

სადღესასწაულო ნობათი

ქუთაისი

● **საოჯახოვბრივ** კარგი საჩუქარი მიიღო ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობამ — მშვიდობის პროსპექტზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი სამხატვრო სკოლის შენობა, რომელიც ტიპობრივი პროექტით აგო მეოთხე სამშენებლო ტრესტის მეცხრე სამმართველომ.

სკოლას, რომელიც გ. მაისურაძის სახელს ატარებს, აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, სპეციალურად აღჭურვილი ორი ძერწვის კაბინეტი, საგამოფენო დარბაზი. აქ 130 მოსწავლე ეუფლება სახვითი ხელოვნების ყველა საიდუმლოებას.

● **კონსტიტუციის** სახელობის საწარმოო გაერთიანების მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში მწყობრში ჩადგა ახალი მუშათა სასადილო, რომელიც მთლიანად დაამყაოფილებს აქაურ მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნებს.

● **საყოფაცხოვრებო** მომსახურების სამმართველოს ინიციატივით ქუთაისში პირველად მოეწყო სარეკლამო-საჩვენებელი ვიდეოდარბაზი, რომელმაც საყოფაცხოვრებო დანიშნულების სახლში „რიონში" დაიდო ბინა. აქვეა ბარიც, სადაც მომხმარებლებს უმასპინძლებენ უალკოჰოლო სასმელებით, ყავითა და ნამცხვრით.

ტყიბული

● **მნიშვნელოვანი** წარმატებებით შეხვდნენ ქალაქისა და მისი ზონის სამრეწველო საწარმოები დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. მათ 22 ოქტომბრისათვის ვადაზე 9 დღით ადრე შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ათი თვის სახელმწიფო დავალება. მომხმარებელს უკვე გაეგზავნა 67630 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოთა კოლექტივებმა მთელ რიგ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა 6 პროცენტით გაადიდეს და შრომის ნაყოფიერებაც გეგმასთან შედარებით 5,8 პროცენტით გაზარდეს. დიდი გადაჭარბებით სრულდება ხარისხისნიშნიანი პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დავალებანი. ქალაქის მრეწველობამ ათ თვეში 2200 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

ბათუმი

● **მოსკოველ** მშრომელებს სადღესასწაულოდ გაეგზავნა 600 ტონა ციტრუსი. ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეებმა 280 ტონა, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" მშრომელებმა კი 25 ტონა ხილი მიაწოდეს მოსკოველებს.

საადრეო მოსავლის პირველი პარტია მიიღეს დედაქალაქელებმა ციხისძირის, ჩაქვის, მახინჯაურისა და სხვა მეურნეობათა მეციტრუსეებისაგან.

● **წლეულს** 5,7 მილიონი ქილა ტყემლის, ქლიავისა და ვაშლის კონსერვები დაამზადეს ქობულეთელმა მეკონსერვეებმა. მათს ბრიგადებზე ერთობ დიდი მოთხოვნილებაა აღმოსავლეთ ციმბირის რეგიონებში. ამ სადღესასწაულო დღეებში კონსერვები გაეგზავნა ათობით სავაჭრო ორგანიზაციას.

ციტრუსების სეზონის დადგომასთან ერთად ქარხანამ მანდარინის ჯემის დამზადებაც დაიწყო. იგი უკვე ეგზავნება ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ქსელს, მოძმე უნგრეთსა და რუმინეთს.

ხაშური

● **სადღესასწაულოდ** გადაეცა საექსპლოატაციოდ ორგანოლეპტიკური პროექტით აშენებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. სასტუმრო, საძინებელი და სასადილო ოთახები მეორე სართულზეა განლაგებული, პირველზე კი აბაზანა, სამზარეულო, მარანი და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ოთახებია. თითეულ სახლს, რომლის საცხოვრებელი ფართობი 130 კვადრატული მეტრია, თავისი ეზო და საბოსტნე ნაკვეთი აქვს.

ასეთი სახლები აშენდა ცოცხნარის, ზემო ქძრთლის, ოსიაურისა და ხციისის კოლმეურნეობებში. ისინი განკუთვნილია საზოგადოებრივ მეურნეობებში განაწილებით ჩამოსული ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მათი ოჯახებისათვის.

და მობინადრეებმაც ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში იზეიმეს ახალმოსახლეობა.

● მინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებიც ყოველწლიურად ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში ზეიმობენ ხოლმე ახალმოსახლეობას.

ტრადიცია ძრც წლეულს დარღვეულა. ქარხნის დასახლებაში დამთავრდა ხუთსართულიანი, 20-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამ დღეებში კეთილმოწყობილ ბინებში სახლდებიან საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები.

● ამიერიდან ალის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შვილები საბავშვო ბაღში იკლიან, დედებს კი საშუალება ექნებათ ნაყოფიერად იშრომონ ვენახებსა და ბაღ-ბინდარებში.

ალში ახლახან აგებული კოპწია საბავშვო ბაღის შენობა (იგი ასამდე მოზარდისთვის არის გათვალისწინებული) მეზობელ სოფლებსაც მოემსახურება. ადგილობრივმა საბჭოთა მეურნეობამ უკვე შეიძინა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც დილით პატარებს საბავშვო ბაღში მოიყვანს, საღამოთი კი სახლებში ჩამოიტანს.

ფულუკიძე

● **ზესანიშნავი** საჩუქარი მიიღეს რაიონის მშრომელებმა — ქალაქში, ლენინის ქუჩის დასაწყისში, თეთრი თლილი ქვით ნაგები კაფე („ნარგიზი") გაიხსნა. ამ მართლაცდა ნარგიზის ფორმით გადახურულ კაფეში შემოგთავაზებენ ნაყინს, ნაჭაპაუს, ხინკალს, ღვეზელს, გამაგრილებელ წყლებსა და ხილის წვენებს.

ზესტაფონი

● **სადღესასწაულოდ** ქალაქში მწყობრში ჩადგა ახალი პოლიკლინიკა, რომელსაც აქვს თერაპიის, ქირურგიის, ფიზიო, ოფთალმოლოგიის, ოტოლარინგოლოგიის, ნერვოპათოლოგიის, ტრავმატოლოგიისა და სტომატოლოგიის, ონკოლოგიისა და ტენტგენის კაბინეტები, კლინიკოდიაგნოსტიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიებით.

კლინიკა აღჭურვილია საბჭოური და საზღვარგარეთული წარმოების თანამედროვე აპარატურით.

საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ხიდი მდინარე ყვირილაზე, რომელიც ქალაქს უმოკლესი გზით დააკავშირებს კვალითთან და ცხრაწყაროსთან.

სოფელ მეორე სვირში აიგო ახალი კლუბ-კინტორის შენობა, სადაც არის ადმინისტრაციული პერსონალისათვის განკუთვნილი ოთახები და სამასადგილიანი მაყურებელთა დარბაზი.



დასვენების ახალი კერა

სულ უფრო მხრებს შლის და კეთილწყობა სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკის" ნაგებობანი.

ამჟამად აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა ამ შესანიშნავი ფლაგმანის მუშა-მოსამსახურეებისათვის ჩქარი ტემპით მიმდინარეობს პროფილაქტორია — დასვენების ბაზის მშენებლობა. კომპლექსი შენდება სოხუმის დასავლეთით, შუქურას რაიონში ზღვიდან ორასი მეტრით დაშორებულ მწვანე ნარგავებით მდიდარ ტერიტორიაზე.

— მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის ამ ახალი კერის, — გვითხრა მისმა დირექტორმა ვ. მანიამ, — პროექტი ორიგინალური და ინდივიდუალური, იგი „მოსკოვპროექტ-I-ის" თანამშრომლებმა შეადგინეს. საძინებელი კორპუსების ყველა ნომერს თავისი აივანი ექნება. გარდა ოცდღიანი დასვენების საგზურისა, საწარმოს მუშას ან მოსამსახურეს თუ შეუძლიდ გახდა უფლება ექნება ორი-სამი დღით დაისვენოს და იმკურნალოს ამ ბაზაში.

დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება ორადგილიანი კეთილმოწყობილი ნომრები. ბაზა უზრუნველყოფილი იქნება ყანგბადით სამკურნალო, ინგალატორიის, თბო და ელექტრომკურნალობის, ფიზიკულტურის და სხვა კაბინეტ-ლაბორატორიებით. ასევე დამსვენებლებს მოემსახურება მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის, ბილიარდის, საცეკვაო დარბაზები და მოედნები. რეგულარულად მოეწყობა ექსკურსიები, ნაჩვენები იქნება კინოფილმები.

ახალი კომპლექსის შენობები მთლიანად კრამიტით გადაიხურა, რომელსაც სპეციალური შეკვეთით სოხუმელები რიგიდან ღებულობენ.

დასვენების ახალი კომპლექსის ერთ-ერთი პირველი კორპუსის მშენებლობა ამას წინათ ვადაზე ადრე დამთავრდა და კეთილმოწყობილმა 50 ადგილიანმა ნაგებობამ პირველი დამსვენებლები მიიღო. ასევე დამთავრდა სამეურნეო კორპუსის მშენებლობა სათანადო სათავსოებით.

ი. გოგეჩია.
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკის"დასასვენებელი ბაზის პროფილაქტორიუმის მაკეტი.

ყაბალი

კარგი, ოთვეგა—არა! არც ფხა და აღარც ღირსება?!

გუშინწინ ანგარიშით 1:2 თბილისის „დინამო" საკუთარ მოედანზე დამარცხდა მოსკოველ თანაკლუბელებთან. ტრიბიალური, მაგრამ არცთუ მართებულია გამოთქმა — მოგება და წაგება ძმები არიანო. მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. როცა გუნდი თამაშის უსუსური ტაქტიკური გეგმით აპირებს ფონს გასვლას, როცა კოლექტივის წევრები უსულგულოდ მოქმედებენ, თითქოს ვიღაცას ან რაღაც ხარკს უხდიან, თითქოს მაყურებელს თავითან თავს ამადლიან, ეს უკვე უპასუხისმგებლობაა მაყურებლისა და, თუნდაც, რესპუბლიკის წინაშე, უბრალოდ უღირსი საქციელია. ამიტომაც ფეხბურთის ქომაგები სტადიონის ტრიბუნებს ზზრიად გულდაწყვეტილი, ნირშეცვლილ-დთრგუნვილები ტოვებენ. გუნდში შექმნილი ვითარება მოითხოვს რადიკალურ ზომებს ქართული ფეხბურთი სახელის გადასარჩენად და აღსადგენად.

უმაღლესი ლიგის გუნდებმა გუშინწინდელი დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „შახტიორი"-„ჩერნომორეცი" — 2:1, „ზენტი"-„ყაირათი" — 3:1, „ნეფთჩი"-„ყიევის „დინამო" — 0:0, „ალგორიასი"-„მოსკოვის „ტორპედო" — 1:0, „მეტალისტი"-„მინსკის „დინამო" — 1:0, ქუთაისის „ტორპედო"-„სპარტაკი" — 0:1, „არარატი"-„დნეპრი" — 3:3.

საბურნირო ორბიტა

შახტიორი. პირველი ლიგის გუნდების ორი კალენდარული შეხვედრა. გთავაზობთ შედეგებს: ცსკა-როსტოვის ასკ — 3:0, ვოლგოგრადის „როტორი"-ამოვიანის „კოტაიკი" — 1:3. დღეისათვის, 44-44 გამართული შეხვედრის შემდეგ, ლიდერთა სამეულში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

	მ.	ფ	წ.	ბ	ქ.
„დაუგავა"	24	12	8	79-48	60
„გურია"	27	5	12	78-68	59
ცსკა	24	9	11	59-35	57

12 ნოემბერს — ბოლოსწინა ტურის შეხვედრაში ლანჩხუთის „გურია" მოსკოვის „ლოკომოტივს" უმასპინძლებს ბათუმში. ამავე დღეს დუშანბეში ადგილობრივ „პამირთან" (ითამაშებს „დაუგავა", ცსკა კი მიიღებს „კოტაიკს".

ბაკურიანი. ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ალექსანდრე ბელიავსკემ 8,5 ქულა დააგროვა და პირველ ადგილს დაეუფლა. ლუბომირ ლუბოევიჩი (იუგოსლავია) მეორე ადგილზე გამოვიდა — 8 ქულა, 7 ქულით ანატოლი კარპოვი მესამე ადგილს დასჯერდა.

კალათბურთი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების ტურნე. გთავაზობთ მორიგი შეხვედრების შედეგებს. **მეიქსე მატჩი.** სსრ კავშირის ნაკრები-ოკლაჰომასიპის უნივერსიტეტის გუნდი — 102:74; **მეშვიდე მატჩი.** სსრ კავშირის ნაკრები-დიუკის უნივერსიტეტის გუნდი — 79:86; **მერვე მატჩი.** სსრ კავშირის ნაკრები-პროვიდენსის უნივერსიტეტის გუნდი — 88:91.

ჯალონობა. სოფიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე 52 და 56 კგ-მდე წონითს კატეგორიებში შესაბამისად პირველი ადგილები მოიპოვეს ბულგარელებმა სევდალინ მარინოვმა (ორჭიდში — 257,5 კგ) და მიტკო გრიბლევმა (290 კგ). ამ წონითს კატეგორიებში საბჭოთა სპორტსმენები ალექსი კოლოკოლცევი და ოქსენ მირზოიანი მესამე ადგილებზე გამოვიდნენ (შესაბამისად 250 და 285 კგ). კიდევ ერთი ბულგარელი ათლეტი, ნიუმ შალამანოვი (60 კგ) დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. მან ამასთან ერთად სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (ორჭიდში — 335 კგ, ატაცში. — 147,5 და აკვრაში — 188).

ფრენბურთი. იაპონიის თასის გათამაშება სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ზედიზედ ორი გამარჯვებით დაიწყო. მან ჯერ კანადის გუნდი დაამარცხა — 3:0 (12:3, 12:4, 12:1), შემდეგ კი შვეიცარია — 3:0 (12:5, 12:8, 12:9). ეს შეჯიბრება მიმდინარეობს ახალი სისტემით: პარტიის მოგებისათვის საჭიროა მხოლოდ 12 ქულის დაგროვება.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ხელოვნებისა და მეგობრობის მარშრუტებით

განუმეორებელი გარდასახვა

გუდაჰეშტში დამთავრდა თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლები

გუდაჰეშტი. „თეატრალური ხელოვნების ტრიუმფი, განუმეორებელი გარდასახვა" — ასე წერდა ერთ-ერთი უნგრული „გაზეთი, როცა აფასებდა აქ დამთავრებულ თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლებს. მომეე ქვეყნის მაყურებლებს რუსთაველელებმა უჩვენეს თავიანთი საუკეთესო ნამუშევრები — შექსპირის „რიჩარდ მესამე", ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე" და თანამედროვე ქართველი მწერლის თ. ჭილაძის პიესა „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის".

რუსთაველთა გასტროლების შესახებ თავისი მთავარეჭდილებები საკადესის კორესპონდენტს გაუზიარა ცნობილმა უნგრელმა თეატრალურმა რეჟისორმა არპად ბენედეკმა.

თბილისელ მსახიობთა გასტროლები დიდხანს დაახსომდებათ უნგრელ თეატრის მოყვარულებს, თქვა მან. ეს იყო შეხვედრა ჭეშმარიტ ხელოვნებასთან, კოლექტივთან, რომელიც დაუოკებლად ისწრაფვის გაამდიდროს თანამედროვე თეატრი. რუსთაველის სახელობის თეატრმა უნგრელ მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანა სხვადასხვა ხასიათისა და ჟანრის სამი ნამუშევარი და ყოველ მათგანში წარმოდგა როგორც თეატრი — ნოვატორი, რომელიც მუდამ შემოქმედებითს ძიებაშია, ჰყავს უნიკალური შემსრულებლები, რომლებსაც ხელეწიფებათ მსოფლიო დრამატული ხელოვნების ურთულესი ნაწარმოებები.

— **ასე** დაასათაურა მიუნხენის გაზეთმა „ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა" სტატია, რომელიც მიეძღვნა ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით საქართველოს კამერული ორკესტრის პირველ კონცერტს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცხრამეტ ქალაქში აჩვენა თავისი ხელოვნება ამ სამხატვრო კოლექტივმა, რომელსაც მუსიკალურმა კრიტიკოსებმა უწოდეს „მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კამერული ორკესტრი". ხოლო მის ხელმძღვანელს — „მსოფლიო კლასის მეგიოლინე, რომელსაც უნარი შესწევს დღევანდელობის სულისკვეთებით წარმოაჩინოს სხვადასხვა ავტორისა და ეპოქის ნაწარმოებები, ხელახლა გაიაზროს და შექმნას იგი თავისთვისაც, სხვებისთვისაც".

კამერული ორკესტრის წლევანდელმა საოჭტომბრო გასტროლებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომელიც ამ ლეგენდში დამთავრდა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მუსიკოსთა დიდმა ორგანიზებულობამ, მათი ხელმძღვანელის უდიდესმა ნიჭმა განსაზღვრეს კოლექტივის ბრწყინვალე წარმატება, გამოიწვიეს გერმანელ მსმენელთა საყოველთაო აღტაცება. ამბობენ, გერმანელები ასე ადვილად არ აკვლენენ ემოციებს, მაგრამ მუსიკა, რომელიც არ ემორჩილება



Unser Bild zeigt die Leiterin und Geigerin Liane Issakadse, links neben ihr Schlagzeuger Vladimir Tarasov und rechts den Pianisten Dimitrij Alexejew. Bild: Kumpf

Haydn-Spaß und Gershwin-Rarität

Georgisches Kammerorchester in der Stuttgarter Liederhalle

„ვულკანი ვიოლინოზე..."

ლიანა ისაკაძემ მსმენელებს შესთავაზა ხუთი სრულიად სხვადასხვანაირი პროგრამა, რომლებშიც შეიყარა ცხრა საგოლფოდ კონცერტი, ბახის, მოცარტის, ჰაიდნის, მენდელსონის, ვივალდის, ბრიტენის ნაწარმოებები, საბჭოთა მუსიკა კი წარმოდგენილი იყო დიმიტრი შოსტაკოვიჩის კამერული სიმფონიით, ოთარ თაქთაქიშვილის ახალი სავიოლინო კონცერტითა და ახალგაზრდა ავტორის იოსებ ბარდანაშვილის „სერენადით".

პირველ კონცერტზე, რომელიც გაიმართა ქალაქ ანსბახში, სადაც ყოველწლიურად იმართება ბახის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი, ორკესტრმა მსმენელთა სამსჯავროზე გამოიტანა ჰაიდნის ნაწარმოებები, მოცარტის სავიოლინო კონცერტი და შვიდი სცენა გერშვინის ოპერიდან „პორგი და ბესი" ლიანა ისაკაძისა და მოსკოველი პიანისტის დიმიტრი ალექსეევის დამუშავებით. შეადგინა რა ასეთი პროგრამა, ორკესტრის ხელმძღვანელი გარკვეულ რისკს სწევდა. როგორ აღექვამენ გერმანელები ერთ კონცერტში კლასიკასა და ჯაზურ მელოდიებს... რისკმა გაუმართლა — შემსრულებლთა უდიდეს ხელოვნებას, ლიანას ვირტუოზულ ოსტატობას გულგრილი არავინ დაუტოვებია. დარბაზმა მჭუხარე ტაშით დააჯილდოვა მუსიკოსები და ამით ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამდვილ ოსტატთა ხელში სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები მსმენელთა გონებასა და გულზე ზემოქმედების ღიად ძალას იძენენ. აღტაცებულმა დუისბურგელმა იმპრესარიომ ბატონმა არნოლდმა ორკესტრი მიიწვია ამერიკული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის.

კამერული ორკესტრი მიიწვიეს დასავლეთ ბერლინშიც, სადაც გაისად სეტემბერში მოეწყობა საქართველოს კულტურის დღეები. იგი აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს ფესტივალებში, რომლებიც ქალაქ კილში გაიმართება 1987-1988 წლებში.

ტრიუმფით მთავრდებოდა კოფო პრემიების ლაურეატი ზურაბ წერეთელი გახლდათ.

ფართოდ იყო წარმოდგენილი სამრეწველო საქონელი, ქართული ჩაი, კონსერვები, თამბაქოს ნაწარმი, ღვინო, კონიაკი, მინერალური და ხილის წყლები, საკონდიტრო ნაწარმი, პარფუმერია. სტუმრების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ქართული გამოფენა.

ბუდაპეშტში მოღუღუნე „სულიკო"...

ყენებითი და ხალხური რეწვის ნიმუშები: ეროვნული ტანსაცმელი, ქსოვილები, თანამედროვე ინდივიდუალური ფეხსაცმელი. ჩვენი ექსპოზიციის ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ პავილიონში მათ მოაწყვეს ისეთი სანახაობა, რომლის მსგავსსაც სხვა ქვეყნების პავილიონებში ვერ იხილავდით. ჩვენმა სპეციალისტებმა დამთვალიერებლებს სიურპრიზი მოუწყვეს: ხალხური რეწვის წარმომადგენელი, მხატვარი ომარ ხუბულაშვილი ქართულორნამენტიანი დამღებითა და მცენარეული საღებავებით იქვე დამთვალიერებლების თანდასწრებით ქმნიდა ფერადოვან მხატვრულ ტილოებს და სტუმრებს სუვენირად თან ატანდა. მხატვარი ომარ ხუბულაშვილი ბოლოდ ჩაწნული ფოლკლორული რიტმის ორნამენტები" („ბეთი რაინპფალეი").

„ტემბრის, ინტონაციისა და ფრაზირების ელეგანტურობა, დიდებულება და დახვეწილობა — ყოველივე ეს გვიჩვენა ლიანა ისაკაძემ. თავისი ეროვნული ტემპერამენტის წყალობით იგი აღწევს მუსიკალური აღმფრენის სრულყოფას, რომელიც ასე იზიდავს მსმენელებს. („ბეთი ფოლკსბლატი").

„ლიანა ისაკაძე ორკესტრისა და პროგრამის სული და გულია. იგი სცენაზე ჯადოქრად იქცევა და ვნებების ქარიშხალს იწვევს" („ბეთი „რაინიშე პოსტი").

კონცერტებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ადამიანს სჭირდება მუსიკა. მას უნარი შესწევს არათუ უფრო მჩქეფარე და მკაფიო გახადოს სიხარულის წუთი, არამედ იყოს საამედო, ერთგული თანამეზრძოლი სამართლიანობისათვის, პლანტაზე მშვიდობიანი მომავლისათვის ბრძოლაში. და ამ თვალსაზრისით ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ქართული ორკესტრის წლევანდელი გასტროლების მნიშვნელობა.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ კამერული ორკესტრი საგასტროლოდ გაემგზავრება ნორვეგიასა და შვეიცარიაში.

(საქინფორმი).

სურათებზე: დიდად შეაქო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესამ ქართველ მუსიკოსთა გასტროლები.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მისი სიყვარულია მშობლიური მხარე

სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის მრავალ რეგალიას კიდევ ერთი დაემატა: იგი აირჩიეს ქალაქ ონის საპატიო მოქალაქედ. გასულ კვირა დღეს მხცოვან მხატვარს გადაეცა დიპლომი და ნიშანი, რომლებიც ადასტურებენ ამ უმაღლეს პატივს.

— ბედნიერი კაცი ვარ, — — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს უჩა ჯაფარიძემ, რომლის დაბადების 80 წლისთავი ახლახან ფართოდ აღნიშნა რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ, — ძალიან მახარებს და ბევრს მავალებს ქალაქების თბილისისა და ქუთაისის, დღეიდან კი ქალაქ ონის საპატიო მოქალაქის წოდებანი. რაკი ჩემი მშობლიური კუთხეა, ჩემი მშობლიური სახლია. აქ დავიბადე, გავიზარდე, მან დამაჯილდოვა მშობლიური მხარის ღრმა სიყვარულით, ფერების სიხალისითა და გრძნობების გულწრფელობით... ყოველთვის მიმიწევს გული ჩემი ძვირფასი მხარისაკენ, მიყვარს მის მშრომელებთან შეხვედრა.

ხელოვანი სრულიადაც არ აზვიადებს ამ მხარისადმი თავის უსაზღვრო სიყვარულს.

მხატვრის ინიციატივით ამბროლაურსა და ონში შეიქმნა სურათების გალერეები. მის მიერ ნაჩუქარმა ნამუშევრებმა, რომლებიც ასახავენ ამ მხარის გარდაქმნას, დასაბამი მისცა ადგილობრივ გალერეებს. მათთან შექმნილია სამხატვრო სკოლებიც, სადაც ახალგაზრდობა ეუფლება ფერწერის, ქანდაკების, ჭედურობის ხელოვნებას. უჩა ჯაფარიძის აქტიური ხელშეწყობით სოფელ ღარში აშენდა წყარო, სოფელ ჭრებალოში კი გაიხსნა აფთიაქი.

— თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდა თავისი მიწა, რომელიც სამუდამოდ მიიჯაჭვავს მას, მისცემს სულიერ საზრდოს ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის, — თქვა მხცოვანმა მხატვარმა. ასეთი მიწა მისთვის გახდა რაჭა, საიდანაც მონა შესანიშნავი სურათები „ყრმობის მეგობრები", „დედის ფიქრები", „წყაროსთან", „გულახდილი საუბარი" და სხვა, რომლებმაც სამშობლოზე პოემის მთელი თავი შეადგინეს.

საქართველოს ტელევიზია

ორშაბათი

11 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 და 20.35 — დაბადების 275 წლისთავისათვის. მხატვრული ტელეფილმი „მიხაილო ლომონოსოვი". ფილმი I — „საკუთარი წიაღიდან". I სერია. 11.00 — ცხოველთა სამყაროში. 12.00 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.35 — ა. მაჭავარიანი — № 4 სიმფონია. 17.10 და 20.30 — ახალი ამბები. 17.15 — რელიგია და პოლიტიკა. 17.45 — კონცერტი. 17.55 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.45 — დაჩქარება. 19.45 — დღის მსოფლიოში. 20.00 — ჩვენი ბაღი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — საკონტროლო უფროსებისათვის. 23.50 — დღის მსოფლიოში. 0.05 — თქვენ გიწვევთ რსფსრ დამსახურებული არტისტი კ. ბელდი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 9.55; 10.55 და 13.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 14.25 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.40 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. IX კლასი. 12.05 — საშადრაკო სკოლა. 13.25 — მუსიკა, ბ. ვ. ასაფიევი. 14.55 — კარლ მარქსი და რევოლუციური რუსეთი. 15.25 — ნ. ა. ნეკრასოვის შემოქმედება. 16.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.00 — რიტმული ტანვარჯიში. 20.30 — პოეკი. მოსკოვის „დინამო" — სკა. მე-2 და მე-3 პერიოდები. შესვენებისას (21.00) — „ძილი ნებისა, პატარებო"! 22.00 — „ვრემია" 22.40 — სათავგადასავლო ფილმის ეკრანი. „სისტემის სამართლის სამეცნიერო ინსპექტორი". 0.05 — მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში. 0.25 — ახალი ამბები.

თბილისი

11 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიყვარს ეს მიწა". 10.50 — დაგაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. 11.10 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სასაცილოდ — სატკივარი". 11.50 — „თეატრალური ფოსტა". 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05—შეგისწავლოთ ინგლისური ენა. 16.35—ალ. მაჭავარიანის მეოთხე სიმფონია (მ.). 17.10—თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.20—დოკუმენტური ფილმი „არქტიკა". 17.30—მოსწავლეთათვის. გიდოცავთ!" (საბავშვო კინოსტუდია პიონერფილმი") 18.00 — „თეატრალური აფიშა". 18.20 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო—50". ნახატი ფილმი „თეთრი ლამეები". 18.40 — განცხადებები. 18.45 — „საუნჯე" — ვარძია



ლექტივის თითოეული გამოსვლა, რომლის საგასტროლო მარშრუტები „გადიოდა მიუნხენში, ჰამბურგში, ბონში, ფრანკფურტში, დიუსელდორფში, მარბურგში, სხვა ქალაქებში. მაგრამ ინციდენტსაც ვერ დაალწიეს თავი ქალაქ ვიტენში. კონცერტის დაწყების წინ დარბაზის დირექციაში აწკრიალდა ტელეფონი. ანონიმური ავტორი იმუქრებოდა, რომ საბჭოთა მსახიობების გამოსვლის დროს დარბაზში ბომბს აფეთქებდნენ. მასპინძლების, საბჭოთა მუსიკის მოყვარულების, ჩვენი ქვეყნის მეგობრების ერთობლივი მეცადინეობით შეძლეს ძირშივე აღეკვეთად პროვოკაცია. მუსიკამ ამჯერადაც გაიმარჯვა!

მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გავაცნოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელი რიგი გაზეთების პუბლიკაციათა ნაწყვეტები, რომლებიც ორკესტრის ტრიუმფული სვლის შთამბეჭდავ სურათს ქმნიან:

„საღამოს კულმინაცია გახდა მოცარტის სავიოლინო კონცერტი, რომელშიც ლიანა ერთდროულად ასრულებდა დირიჟორის როლსაც და სოლისტის როლსაც. ეს იყო ნამდვილი სასწაული! აქ მიზანშეწონილი იქნება გავიხსენოთ აინშტაინის სიტყვები: „იგი თითქოს ზეციდან ჩამოვიდა" („ბეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე").

„ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოები, რომლის პრემიერა ჩვენთან გაიმართა, აღინიშნა დახვეწილი ოსტატობით, დიდი გემოვნებით, კამერული მუსიკის ტონალობისა და ბგერების შეესანიშნავი ცოდნით". იგი თითქოს ნაირფერი ძაფებით მოქსოვილი ხალიჩაა, რომელშიც ჩინეთ-ბონში, ფრანკფურტში, მარბურგში, სხვა ქალაქებში. მაგრამ ინციდენტსაც ვერ დაალწიეს თავი ქალაქ ვიტენში. კონცერტის დაწყების წინ დარბაზის დირექციაში აწკრიალდა ტელეფონი. ანონიმური ავტორი იმუქრებოდა, რომ საბჭოთა მსახიობების გამოსვლის დროს დარბაზში ბომბს აფეთქებდნენ. მასპინძლების, საბჭოთა მუსიკის მოყვარულების, ჩვენი ქვეყნის მეგობრების ერთობლივი მეცადინეობით შეძლეს ძირშივე აღეკვეთად პროვოკაცია. მუსიკამ ამჯერადაც გაიმარჯვა!

მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გავაცნოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05—შეგისწავლოთ ინგლისური ენა. 16.35—ალ. მაჭავარიანის მეოთხე სიმფონია (მ.). 17.10—თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.20—დოკუმენტური ფილმი „არქტიკა". 17.30—მოსწავლეთათვის. გიდოცავთ!" (საბავშვო კინოსტუდია პიონერფილმი") 18.00 — „თეატრალური აფიშა". 18.20 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო—50". ნახატი ფილმი „თეთრი ლამეები". 18.40 — განცხადებები. 18.45 — „საუნჯე" — ვარძია (გადაცემა მეოთხე). 19.25 — „საბჭოური ცხოვრების წესი". „კაჭრეთელები". 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ტელეფილმი დღეს და ხვალ" (საბჭოთა და უნგრელ კინემატოგრაფისტთა სიმპოზიუმი). 21.